საქართველოს
პარლამენტი

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამზ. 26

№ 120

21 11 2016 წელი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ასლი: საორგანიზაციო დეპარტამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 39–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 21 ნოემბერს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა, გამართა პირველი საორგანიზაციო სხდომა.

სხდომაზე კომიტეტმა ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩია, კომიტეტის თავმჯდომარის მიერ დასახელებული კანდიდატი - სალომე ზურაბიშვილი, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩია, უმრავლესობის მიერ წარდგენილი კანდიდატი - ირაკლი მეზურნიშვილი და ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ მიერ წარდგენილი კანდიდატი გიორგი ლომია.

კომიტეტის თავმჯდომარე

ზვიად კვაჭანტირაძე

საქართველოს
პარლამენტი

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამზ. 26

№ 118

21 11 2016 წელი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ასლი: საორგანიზაციო დეპარტამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 38–ე მუხლის მე–3 პუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის 2016 წლის 21 ნოემბრის პირველი საორგანიზაციო სხდომის ოქმს და კომიტეტის დებულებას.

დანართი „16“ (თექვსმეტი) ფურცელი

კომიტეტის თავმჯდომარე

ზვიად კვაჭანტირაძე

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის
პირველი საორგანიზაციო სხდომის

ო ქ მ ი

21 ნოემბერი, 2016 წ. 14.00 სთ.
ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზი

სხდომას უძღვებოდა: დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად კვაჭანტირაძე.

სხდომას ესწრებოდნენ :

კომიტეტის წევრები - სალომე ზურაბიშვილი, ირაკლი მეზურნიშვილი, მახირ დარზიევი, თამაზ ნავერიანი, კობა კობალაძე, ოთარ ჩრდილელი, ანზორ ბოლქვაძე, შოთა შალელაშვილი, გიორგი ლომია, თინათინ ბოკუჩავა, ხათუნა გოგორიშვილი, ირმა ნადირაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ - თეიმურაზ ჭკუასელი, სვეტლანა კუდბა.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის 13 წევრის დასწრებით.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ :
კომიტეტის აპარატის მოხელეები, მასმედიის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის დებულების შემუშავება;

2. საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა.

მომხსენებელი:

ზვიად კვაჭანტირაძე – დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა კომიტეტის წევრებს და გააცნო სხდომის დღის წესრიგი. აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 38-ე მუხლის

შესაბამისად, პირველ საორგანიზაციო სხდომაზე კომიტეტი შეიმუშავებს კომიტეტის დებულებას და ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს.

კომიტეტის წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ გამოუთქვამთ და კენჭისყრით დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით,

კომიტეტის თავმჯდომარემ ისაუბრა მე-9 მოწვევის საქართველოს პარლამენტში დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ფუნქციების შესახებ. აღნიშნა, რომ მოქმედი დებულებით, კომიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ქართულ დიასპორებთან ურთიერთობა და კავკასიის საკითხები. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მიმართულებები მჭიდროდ არის დაკავშირებული მიგრაციულ პროცესებთან, კომიტეტი სამომავლოდ აპირებს აქტიურად იმუშაოს მიგრაციული პროცესების პოლიტიკისა და მართვის საკითხებზე. კომიტეტი რეგიონალური უსაფრთხოებისა და მეგობრული სამეზობლო პოლიტიკის შემუშავების მიზნით, იმუშავებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თემებზეც.

ზვიად კვაჭანტირაძემ კომიტეტის წევრებს გააცნო დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის დებულების პროექტი.

კომიტეტის წევრებს დებულების პროექტის მიმართ შენიშვნები და წინადადებები არ გამოუთქვამთ.

ამასთან, ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დებულების მიღების შემდეგ, გაწეული მუშაობის ანალიზის საფუძველზე, დებულების სრულყოფის მიზნით, შესაძლებელია მასში სათანადო ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა კენჭისყრის პროცედურა.

კომიტეტმა გადაწყვიტა:

მოწონებულ იქნას დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის დებულების პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით,

კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს კომიტეტის თავმჯდომარეს. კომიტეტის თავმჯდომარის ერთი მოადგილის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს უმრავლესობას, ხოლო ერთი მოადგილისა - უმცირესობას, ფრაქციას, რომელიც არ არის გაერთიანებული უმრავლესობაში. ამასთან, მომხსენებელმა კომიტეტის წევრებს გააცნო წარმოდგენილი კანდიდატურების ბიოგრაფიული მონაცემები.

ზვიად კვაჭანტირაძემ გამოიყენა რა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტით მინიჭებული უფლება, თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე წარადგინა **სალომე ზურაბიშვილის** კანდიდატურა.

კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარმოადგინა **ირაკლი მეზურნიშვილის** კანდიდატურა, ხოლო ფრაქცია „საქართველოს პატრიოტებმა" - **გიორგი ლომიას** კანდიდატურა.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა კენჭისყრის პროცედურა.

კომიტეტმა გადაწყვიტა:

1. კომიტეტმა ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლოსბით, კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩია **სალომე ზურაბიშვილი;**

შენიშვნა: ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს - თინათინ ბოკუჩავამ, ხათუნა გოგორიშვილმა და ირმა ნადირაშვილმა.

2. კომიტეტმა ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლოსბით, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია უმრავლესობის მიერ წარდგენილი კანდიდატი - **ირაკლი მეზურნიშვილი;**

შენიშვნა: ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს - თინათინ ბოკუჩავამ, ხათუნა გოგორიშვილმა და ირმა ნადირაშვილმა.

3. კომიტეტმა ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია ფრაქცია „საქრთველოს პატრიოტების" მიერ წარდგენილი კანდიდატი - **გიორგი ლომია.**

შენიშვნა: წინააღმდეგ მისცეს ხმა - თინათინ ბოკუჩავამ, ხათუნა გოგორიშვილმა და ირმა ნადირაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარე ზვიად კვაჭანტირაძე

სხდომის მდივანი ნათია გოგუა